

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №288
2016 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №1061 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №1061 ბრძანებით (სსმ, 140130000.22.034.016402, 29/12/2014) დამტკიცებული დებულების პირველ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, გორგასლის ქ.№83^ა.“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. დაწესდეს მეხანძრე-მაშველის დღე და აღინიშნოს ყოველი წლის 12 ივნისს.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

ბესიკ ამირანაშვილი

